თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №2

თბილისი, 29 ივლისი, 2024

სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- რატი ბრეგაძე – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- თორნიკე ჭეიშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- გიორგი ტაბატაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
- გიორგი ცაგარეიშვილი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;

- ალექსანდრე ბატიაშვილი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- ნათია სონღულაშვილი – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
- გიორგი შარაბიძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ეკა ცაბაშვილი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- ვლადიმერ რაზმაძე – საერთაშორისო სადამკვირვებლო ინსტიტუტის (IRI) დირექტორის მოადგილე;
- მაია მილიკიჩი (Maja Milikic) – გრძელვადიანი დამკვირვებელი.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- გივი მიქანაძე – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“;
- ზესიკ დონაძე – „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“;
- გოჩა თევდორაძე – „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, სხდომა გახსნა 16:00 საათზე და კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. კომისიის წევრების მოსმენა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ;
3. კენჭისყრის პროცესში საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების პროცესის მიმოხილვა; ტექნოლოგიების დემონსტრირება;
4. სხვადასხვა.

ბატონმა რატი ბრეგაძემ კომისიის სხდომის გახსნის შემდგომ აღნიშნა, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის პირველ სხდომაზე დაისვა კონკრეტული საკითხები, რომელთა შესახებ მოუსმენდნენ შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებს. მან წარმატებები უსურვა კომისიის საქმიანობას და მის წევრებს.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს, ბატონ გელა გელაძეს.

ბატონმა გელამ ისაუბრა სხვადასხვა მედიასაშუალებაში გავრცელებულ ინფორმაციაზე თბილისის 51-ე საჯარო სკოლის თანამშრომლის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და თანამშრომელი პოლიტიკური ნიშნით არ გათავისუფლებულა. დასახელებული

თანამშრომელი თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში დასაქმდა 2022 წელს. მას 2023 წელს სამსახურში გამოუცხადებლობისა და საქმიანობის არაჯეროვნად შესრულებისთვის გამოეცხადა შენიშვნა; რამდენიმე თვის შემდეგ იმავე მოტივით გამოეცხადა საყვედური, რაც მან გაასაჩივრა სამეურვეო საბჭოში (სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან პედაგოგები, მშობლები და სკოლის თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე). კომისიამ საკითხზე მსჯელობის შემდგომ არ დააკმაყოფილა სკოლის თანამშრომლის საჩივარი. გარდა ამისა, როგორც მომჩივანმა განაცხადა, იგი თავადვე ეთანხმება სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას: არ ასრულებდა ჯეროვნად მაზე დაკისრებულ ვალდებულებას და გეგმავდა სამსახურიდან წასვლას. 2023 წელს მიმდინარე სასკოლო ინვენტარიზაციაზე მატერიალურ-ტექნიკური პასუხისმგებლობა, მათ შორის, ქონებაზეც, ეკისრებოდა სწორედ ამ თანამშრომელს. სკოლამ წერილობით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შიდა აუდიტს, რომელმაც სკოლასთან ერთად სრულად შეისწავლა აღნიშნული საკითხი. შიდა აუდიტის მიერ დადასტურდა 85 000 ლარზე მეტი ღირებულების ქონების დანაკლისი და მასალები გადაეგზავნა საქართველოს პროკურატურას შემდგომი რეაგირებისთვის. 2024 წლის 18 ივლისს სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება და ხელშეკრულება შეუწყვიტა ამ თანამშრომელს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ბატონმა ბესიკ დონაძემ („ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“) კითხვით მიმართა ბატონ გელა გელაძეს – თბილისის 51-ე საჯარო სკოლის თანამშრომლის გათავისუფლების მიზეზი პროკურატურის დასკვნა იყო თუ ადმინისტრაციული წარმოება. ბატონი გელა გელაძის პასუხის თანახმად, თანამშრომლის გათავისუფლების მიზეზი ცალსახად დისციპლინური გადაცდომაა. რაც შეეხება პროკურატურაში გადაგზავნილ მასალას, უწყების მიერ საკითხი შესწავლის პროცესშია.

ბატონმა რატი ბრეგაძემ აღნიშნა, რომ თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც საფუძვლად უდევს დისციპლინური გადაცდომა, შესაძლებელია, გასაჩივრდეს სასამართლოში. შესაბამისად, სასამართლოში გასაჩივრება არის სამართლებრივი გზა და პოლიტიკა და სამართალი ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს.

ბატონმა ბესიკ დონაძემ უწყებათაშორისი კომისიის პირველი სხდომის შემდგომ კომისიის სამდივნოს გაუგზავნა ორი წერილი, სადაც ითხოვდა პირველ სხდომაზე მის მიერ დასმულ

კითხვებზე ინფორმაციის მიღებას. კითხვები მიეწოდა შესაბამის უწყებებს – საქართველოს საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს.

ბატონმა გიორგი ტაბატაძემ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი) ბატონი ბესიკ დონაძის კითხვებთან დაკავშირებით ისაუბრა საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნის საკითხზე. მისი თქმით, საარჩევნო კოდექსის თანახმად, საგარეო საქმეთა სამინისტრო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აწვდის საკონსულო აღრიცხვაზე მყოფთა სიებს და, აქედან გამომდინარე, ცესკო საბოლოო ჯამში იღებს გადაწყვეტილებას იმ რაოდენობის მიხედვით, რაც დადგენილია კანონით – სულ მცირე, 50 და, მაქსიმუმ, 3000 პირი. ამ შემთხვევაში, იხსნება საარჩევნო უბანი. ცენტრალური საარჩევნო კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრავს, სად რამდენი საარჩევნო უბანი უნდა გაიხსნას. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა ისიც, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოველთვის გასცემს ინფორმაციას, თუ რა გზებით შეიძლება საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა. ამასთან, შეიქმნა პლატფორმა „გადაამოწმე შენი თავი", რაც იძლევა ინფორმაციას პიროვნების საკონსულო აღრიცხვასთან დაკავშირებით.

ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) ბატონი ბესიკ დონაძის წერილში მითითებულ თემებთან მიმართებით აღნიშნა, რომ საკითხი არ უკავშირდებოდა წინასაარჩევნო პერიოდს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ბატონმა ალექსანდრემ ინფორმაცია მაინც მიაწოდა ბატონ ბესიკ დონაძეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდგომ საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ გიორგი შარაბიძეს.

ბატონმა გიორგიმ მიმოიხილა კენჭისყრის პროცესში საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების საკითხები. მისი თქმით, კენჭისყრის დღის სამი მნიშვნელოვანი პროცესი გახდა ტექნოლოგიური, რითაც გამოირიცხა ადამიანური ფაქტორი, ესენია: რეგისტრაცია/ვერიფიკაცია; ხმის მიცემა და დათვლა; შედეგების ტრანსმისია. ამ ცვლილების მიზეზი იყო ის, რომ წინა წლების არჩევნებთან დაკავშირებით ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის ანგარიშებში ყოველთვის ფიგურირებდა მოსაზრება პროცესების შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2018 წლიდან დაიწყო პილოტირება სპეციალური ტექნოლოგიისა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი იქნებოდა იმგვარი ინოვაციის გამოცდა, რაც გაანეიტრალებდა ადამიანური შეცდომების ფაქტორს და იქნებოდა უსაფრთხო კიბერსაფრთხეების მხრივ. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ყოველი საპილოტე გამოცდის შემდგომ ცესკო ატარებდა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლების გამოკითხვას. მისი თქმით, ტექნოლოგიამ, რომელიც გამოყენებული იქნება მომავალ არჩევნებში, დაიმსახურა ამომრჩეველთა დიდი მოწონება. 28 ივლისს დამთავრდა ცესკო-ს საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც ნებისმიერ ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება, დარეგისტრირებულიყო 89 ლოკაციაზე და თავადვე გამოეცადა ახალი საარჩევნო ტექნოლოგიები. ცესკო-ს პროექტების მეშვეობით, საერთო ჯამში, 500 000-მდე ამომრჩეველმა თავისი ხელით მოათავსა ბიულეტენი მანქანაში და, შესაბამისად, მათი ინფორმირებისთვის მხოლოდ ვიდეოკლიპები ან რეკლამები არ ყოფილა გამოყენებული. ამასთან, როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, პროექტში ჩართულ ამომრჩევლებს ინფორმაცია მიეწოდათ ბიულეტენზე სასურველი საარჩევნო სუბიექტის მონიშვნასთან დაკავშირებულ საკითხზეც – რომ ბიულეტენებზე საარჩევნო სუბიექტის წინ მოხაზული წრე უნდა გაფერადდეს, ნაცვლად მისი შემოხაზვის ან სხვაგვარად მინიშნებისა.

ამას გარდა, ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ კენჭისყრის დღეს ტექნოლოგიის გამოყენებით ხმების დათვლის შემდეგ ხელითაც გადაითვლება შედეგები, რათა შემოწმდეს, რამდენად სწორად განახორციელა მანქანამ დათვლის პროცესი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა იმ საარჩევნო უბანში, სადაც ზემოაღნიშნული ტექნოლოგიით ისარგებლებენ, მხოლოდ გადათვლის შედეგად შედგენილი შემაჯამებელი ოქმები იქნება იურიდიული ძალის მქონე, ხოლო მანქანები მხოლოდ წინასწარი შედეგების მონაცემებისთვის იქნება გამოყენებული. აქედან გამომდინარე, წინასწარი შედეგები მთელი საქართველოს მასშტაბით გაცილებით ადრე გამოცხადდება, ვიდრე ეს ოდესმე მომხდარა საქართველოს საარჩევნო ისტორიაში. ბატონმა გიორგიმ ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ ზემოაღნიშნული პროცესის ყველა ეტაპი დაზღვეულია ქაღალდის კვალით და ტექნოლოგიის მიერ განხორციელებული ნებისმიერი პროცესის აუდიტირებაა შესაძლებელი ქაღალდის მეშვეობით, რადგან ცესკო-ს მატერიალური სახითაც აქვს ყველანაირი მონაცემი. ამ პროცესში

ცესკო-ს მხარდამჭერია ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია, რომელიც ოპერირებს 30-ზე მეტ ქვეყანაში (მათ შორის, წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებში).

ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილის თქმით, მომავალი არჩევნებისთვის სულ 3 030 საარჩევნო უბანი გაიხსნება საქართველოში, ხოლო ტექნოლოგიები განთავსდება 2 262 უბანზე. აღნიშნული 2 262 უბანი, ჯამში, მოიცავს ამომრჩეველთა 90%-ს. დანარჩენ 768 უბანზე ჩატარდება ტრადიციული კენჭისყრა, თუმცა, აქაც არის გარკვეული ტექნოლოგიური სიახლე – ამ უბნებიდან ყველა ბიულეტენი გაციფრულდება, აიტვირთება უსაფრთხო პლატფორმაზე და არა მხოლოდ პარტიებს, მათ წარმომადგენლებს ან სადამკვირვებლო ორგანიზაციებს ექნებათ შესაძლებლობა, შეამოწმონ კონკრეტული უბნის თითოეული ბიულეტენი, არამედ ყველა მოქალაქეს.

მიმოხილვის შემდეგ ბატონმა გიორგიმ კენჭისყრის პროცესში საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების პროცესის შესახებ ამომწურავად უპასუხა კომისიის თავმჯდომარისა და მოწვეული სტუმრების („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ და „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“) მიერ დასმულ რამდენიმე დამაზუსტებელ შეკითხვას. ამას გარდა, ბატონმა გივი მიქანაძემ („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“) ისაუბრა იმ საკანონმდებლო პროცესზე, რომლითაც დარეგულირდა ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილის მიერ გახმიანებული საკითხები. ბატონი გივის თქმით, საკანონმდებლო პროცესი საპარლამენტო ჩარჩოებში წარიმართა ძალიან ღიად და ოპოზიციის ნაწილმა ამ პროცესში არ მიიღო მონაწილეობა. ამის მიუხედავად, შემუშავებული კანონპროექტი პირველი მოსმენის შემდეგ გაიგზავნა ვენეციის კომისიასა და OSCE/ODIHR-ში დასკვნისათვის. ამ შუალედში ოპოზიციის გარკვეულმა ნაწილმა, მათ შორის, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, ითხოვა დამატებითი კონსულტაციების გამართვა. მათთან გაიმართა რამდენიმერაუნდიანი მოლაპარაკება და აღსანიშნავია, რომ 15-დან 13 საკითხზე პოზიციები შეჯერდა. ბატონი გივის თქმით, ამის მიუხედავად, როდესაც საკითხი კენჭისყრამდე მივიდა, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ არ მიიღო მასში მონაწილეობა. საბოლოო ჯამში, როგორც ბატონმა გივი მიქანაძემ აღნიშნა, ვენეციის კომისიამ 2022 წლის დეკემბერში დადებითი დასკვნა წარმოადგინა და რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლის თქმით, ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილის გამოსვლით კიდევ ერთხელ

გამოიკვეთა, თუ რამდენადაა კენჭისყრასთან დაკავშირებული სისტემა სხვადასხვა სახის ზემოქმედებისგან დაზღვეული და რომ ეს სისტემა არანაირ სივრცეს არ ტოვებს მანიპულაციებისთვის.

შემდგომ შედგა საარჩევნო ტექნოლოგიების დემონსტრირება: ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილის მიერ დეტალურად იქნა ნაჩვენები ტექნიკის გამოყენებით კენჭისყრის პროცესის თავისებურებები.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

სხდომა დასრულდა 17:35 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: რატი ბრეგაძე

კომისიის მდივანი: მანანა ბეგიაშვილი